# ქალაქი თბილისი, გამზირი მოსკოვი, №13, საცხოვრებელი კორპუსი №14, (ს./კ. 01.17.12.003.266) პროექტის

## საექსპერტო დასკვნა

## კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქალაქი თბილისი, გამზირი მოსკოვი, №13, საცხოვრებელი კორპუსი №14, (ს./კ. 01.17.12.003.266) პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია

ძირითადი ქანები - ნახევრადმყარი კონსისტენციის მოყავისფრო თიხოვანი გრუნტი, საანგარიშო პირობითი ზღვარი კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_0$ = 2.5 კგძ/სმ$^2$. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა- 85კგძ/მ$^2$; თოვლის ნორმატიული დატვირთვა- 50კგძ/მ$^2$.

საპროექტო შენობა გეგმაში მარტივი კონფიგურაციისაა, ზომები ღერძებში 39,60x 12,60 მ. შენობა რვა სართულიანია, სარდაფის სართულის გარეშე, აქვს მანსარდის სართული.

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებული რ.ბ. მონოლითური ჩარჩოები, მონოლითური სართულშუა, სასხვენო გადახურვებითა და წვრილი ბლოკების წყობის კედლებით.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია, მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სისქით 60 სმ. ბეტონის კლასით B22,5. ჩაღრმავების მიხედვით განლაგებულია

ერთ დონეზე.

იატაკის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის, სისქით 10 სმ.

სვეტები, მონოლითური რკინაბეტონის კვეთით, 40x40 სმ; ბეტონის კლასით B30.

ოთხი სართულის ჩათვლით, დანარჩენი ზედა სართულები B22, რიგელები, მონოლითური რკინაბეტონის კვეთით 30x60 სმ; ფილის 17 სმ. სისქის ჩათვლით. ბეტონის კლასით B22,5.

გადახურვის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის 17 სმ. სისქის. ბეტონის კლასით

B22,5.

სიხისტის დიაფრაგმები და ლიფტის შახტის კედლები, მონოლითური რკინაბეტონის, სისქით 200 მმ. ბეტონის კლასით B30. ოთხი სართულის ჩათვლით, დანარჩენი ზედა სართულები B22,5.

კიბეები, მონოლითური რკინაბეტონის 15 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B22,5.

სახურავის გადახურვა, ხის კონსტრუქციები.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ქალაქი თბილისი, გამზირი მოსკოვი, №13, საცხოვრებელი კორპუსი №14, (ს./კ. 01.17.12.003.266) პროექტის კონსტრუქციული ნაწილის კომპიუტერული გაანგარიშება, სტატიკურ, დინამიკურ და სეისმურ (8 ბალ) დატვირთვებზე.

ფუძე-საძირკვლებისა და შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ,, LIRA

SAPR 2013 R3”-ის გამოყენებით. რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს გადაადგილებებში და მათში გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები СНиП 2,01,07-85*( СП 20.13330.2011) - დატვირთვები და ზემოქმედებები, СНиП 2,03,01-84*- ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, СНиП II-7-81* - მშენებლობა სეისმურ რაიონებში, СНиП II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები.

გაანგარიშებების შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისობაშია კორექტირებული პროექტით მიღებულ მონაცემებთან.

პროექტში ვრცლად არის დაცული საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს ბრძანება № 3/26, 05. 2002 წ. და 2006 წ. 24. 02 დადგენილება №45). კერძოდ; 1). სნ - წ - 2.02.01. – 83* ,,შენობებისა და ნაგებობების საძირკვლები“. 2). სნ - წ - 2.01.07. – 85 ,,დატვირთვები და ზემოქმედებანი“. 3). სნ - წ - II – 7 – 81 ,,მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. 4). სნ. - წ - 2.03.01. – 84 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“. 5). სნ. - წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85

,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“ 6). სნ. - წ - II – 2 – 80 ,,შენობებისა და ნაგებობოს პროექტირებისას ხანძარ საწინააღმდეგო ნორმები.

**დასკვნა:** ამრიგად, ქალაქი თბილისი, გამზირი მოსკოვი №13, საცხოვრებელი კორპუსი №14, (ს./კ. 01.17.12.003.266) პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კარგ დონეზე, საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

**დამოუკ. ექსპერტი,**
**საინჟ. მეცნ. დოქტორი:** **ჯ. ვაშაკიძე**
**მობ. 593 28 34 58**

**16.04.2024**